თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ბრენდის იმიჯისა და გამოცდილების კვლევა

(თსუ-ს სტუდენტების კვლევა - თვისებრივი კომპონენტი)

ფოკუსური ჯგუფის სახელმძღვანელო

ნაწილი 1. შესავალი

მისალმება

რა არის ფოკუსური ჯგუფი

რამდენ ხანს გაგრძელდება ფოკუსური ჯგუფი. რესპონდენტთა დარწმუნება იმაში, რომ მათი პიროვნება და პასუხების კონფიდენციალობა დაცული იქნება.

ჩამწერი აპარატურის (ვიდეოკამერა, მიკროფონები) დანიშნულების ახსნა. დისკუსიის მოდერაციის ძირითადი წესები:

- გულწრფელი რეაქციები და გულწრფელი პასუხები
- არ არსებობს "სწორი" და "არასწორი" პასუხები
- საკმაოდ ხმამაღლა და გარკვევით საუბარი
- თხოვნა მობილური ტელეფონების გამორთვასთან დაკავშირებით

დისკუსიის მონაწილეთა მოკლე წარდგენა

- სახელი, ასაკი, ფაკულტეტი, სპეციალობა, კურსი

ნაწილი 2: ზოგადი დამოკიდებულებები და აღქმები უმაღლეს განათლებასა და უნივერსიტეტებისადმი

- გთხოვთ, ზოგადად დაახასიათოთ უმაღლესი განათლების სფერო:
    - რა შეიძლება ჩაითვალოს უმაღლესი განათლების სფეროში წინ გადადგმულ ნაბიჯებად?
    - რა არის ის, რაც ნაკლებად მოგწონთ ამ სფეროში?
    - სფეროში?
- ზოგადად, რა როლი ეკისრება უმაღლესი განათლების სფეროს ქვეყნის განვითარების მიმართულებით?

- მოდით ახლა ვისაუბროთ ძალიან ზოგადად **სახელმწიფო** და **კერძო** უნივერსიტეტებზე.
    - რა არის დღესდღეობით სახელმწიფო უნივერსიტეტების უპირატესობა კერძო უნივერსიტეტებთან შედარებით?
    - და რა არის კერძო უნივერსიტეტების უპირატესობა სახელმწიფო უნივერსიტეტებთან მიმართებაში?
    - თქვენი აზრით, რატომ ირჩევენ სტუდენტები სახელმწიფო და არა კერძო უნივერსიტეტებს და რა არის მათი მთავარი მოტივები, როდესაც ისინი კერძო უნივერსიტეტს ირჩევენ?
    - თუ არსებობს რაიმე სხვა არჩევანიც?

ნაწილი 3: უმაღლესი სასწავლებლის შერჩევის კრიტერიუმები და სტუდენტების საუნივერსიტეტო გამოცდილების შესწავლა

უმაღლესი სასწავლებლის შერჩევის კრიტერიუმები

(ყველა საფეხურის სტუდენტებისთვის)

- მოდით, გავიხსენოთ ის პერიოდი როდესაც თქვენ აბარებდით თსუ-ში: მოდით, მითხარით ყველა ის მოტივი / მიზეზი / გარემოება, რის გამოც თქვენ აირჩიეთ და ჩააბარეთ სწორედ ამ უნივერსიტეტში?
    - თუ განიხილავდით პარალელურად სხვა უნივერსიტეტებში ჩაბარებას?
    - თუ დიახ: კონკრეტულად რომელ უნივერსიტეტებში? რატომ იყო სწორედ ეს უნივერსიტეტები თსუ-ს ალტერნატივა?
    - რატომ გააკეთეთ მაინდამაინც თსუ-ს სასარგებლოდ არჩევანი?
    - გადაწყვეტილების მიღებისას ვისი აზრი იყო თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ვინ იყო / იყვნენ თქვენთან ერთად აქტიურად ჩართული /ჩართლები ამ პროცესში?

(მხოლოდ მაგისტრატურის და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისთვის)

- გთხოვთ, მითხრათ, რომელ უნივერსიტეტში / უნივერსიტეტებში დაამთავარეთ საბაკალავრო /სამაგისტრო პროგრამა?
    - *(მათთვის ვინც სწავლების წინა საფეხური / საფეხურები გაირა თსუ-ში)* რატომ აირჩიეთ სამაგისტრო / სადოქტორო პროგრამისთვის ისევ თსუ? რა იყო თქვენი გადაწყვეტილების მიზეზი?
    - *(მათთვის ვინც სწავლების წინა საფეხური / საფეხურები გაირა სხვა უმაღლეს სასწავლებელში)* რატომ არ აირჩიეთ სამაგისტრო / სადოქტორო პროგრამისთვის ისევ თქვენი უნივერსიტეტი და რატომ აირჩიეთ მაინდამიანც თსუ? რა იყო თქვენი გადაწყვეტილების მიზეზი?

(ყველა საფეხურის სტუდენტებისთვის)

- რა იყო თქვენი ძირითადი მოლოდინები, როგორ წარმოგედგინათ, რას მოგცემდათ თქვენ ამ უნივერსიტეტის ბაკალავრობა / მაგისტრობა / დოქტორანტობა? მისი დიპლომი?
    - რა პოზიტიურ შედეგს მოიტანდა ის თქვენს სამომავლო გეგმებში, საქმიანი და პირადი ცხოვრების განვითარებაში?

საუნივერსიტეტო გამოცდილების შესწავლა - აღქმები და დამოკიდებულებები

- მოდით ახლა ვისაუბროთ თსუ-ზე, როგორც თქვენს არჩევანზე: გაამართლა თუ არა თსუ-მ თქვენი მოლოდინები? დღევანდელი გადასახედან, როგორ შეაფასებდით თქვენს გადაწყვეტილებას?
    - რა ფაქტორების / გარემოებების გამო თვლით, რომ თქვენ სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ?
    - რა არის ის ფაქტორები / გარემოებები, რის გამოც თვლით, რომ ნაკლებად წარმატებული იყო თქვენი გადაწყვეტილება?
    - ახლა რომ იღებდეთ გადაწყვეტილებას / დღეს რომ აბარებდეთ ბაკალავრიატში / მაგისტრატურაში / დოქტურანტურაში ჩააბარებდით თუ არა ისევ თსუ-ში? რატომ ფიქრობთ ასე?

- (თუ არ ჩააბარებდნენ): რომელ უნივერსიტეტში ჩააბარებდით და რატომ?

- მოდით, ახლა ვისაუბროთ კონკრეტულად <u>სწავლების პროცესზე.</u> ხართ თუ არა კმაყოფილი თსუ-ში სწავლების პროცესით?
  - რა ფაქტორები განსაზღვრავს თქვენს კმაყოფილებას?
  - რა არის ის რაც დისკომფორტს გიქმნით სწავლების პროცესში?
  - რა არის ის რაც, თქვენი აზრით, შესაცვლელია, დასახვეწია სწავლების პროცესში? რა ტიპის სიახლეებს ისურვებდით ამ მიმართულებით?

(მხოლოდ მაგისტრატურის და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისთვის)

- რეალურად გაქვთ თუ არა განცდა, რომ მაგისტრატურის / დოქტურანტურის საფეხურზე განსხვავებული სიტუაციაა?
  - თუ დიახ: რა არის ის, რაც ამ საფეხურზე უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს ბაკალავრიატთან შედარებით და პირიქით, რა არის რასაც თვლით, რომ ბაკალავრიატში უფრო მაღალ დონეზე / უფრო მოწესრიგებულად იყო?

- თქვენი აზრით, დღესდღეობით რას ნიშნავს / რა ღირებულება აქვს თსუ-ს დიპლომს შრომის ბაზარზე? რატომ ფიქრობთ ასე?
  - თუ არის კონკრეტული სპეციალობები / მიმართულებები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ითვლება თსუ-ს ძლიერ მხარედ და არის ერთგვარი გარანტი წარმატებული კარიერისთვის? რატომ ფიქრობთ ასე?

- ცხადია, როგორც სტუდენტს, გიწევთ ურთიერთობა უნივერსიტეტის <u>ადმინისტრაციულ და მართვის ორგანოებთან.</u> გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით მათ საქმიანობას?
  - რა ტიპის პრობლემები გხვდებათ ადმინისტრაციასთან / მართვის ორგანოებთან ურთიერთობისას?
  - როგორ ფიქრობთ, რა ცვლილებები უნდა გატარდეს ამ მიმართულებით?
  - მოდით, ახლა რამდენიმე სიტყვით ვისაუბროთ უნივერსიტეტის რექტორზეც. გთხოვთ, მითხრათ, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს უნიევრსიტეტის რექტორი? მოდი, ჩამოვთვალოთ ყველა ის მნიშვნელოვანი თვისება / უნარი, რაც უნდა ახასიათებდეს თსუ-ს რექტორს? რატომ ფიქრობთ ასე?

- ახლა მინდა ვისაუბროთ თსუ-ზე, როგორც <u>კვლევით ინსტიტუტზე.</u> საერთოდ, რა ტიპის ინფორმაციას ფლობთ ამის შესახებ?
  - რა შეიძლება ჩაითვალოს, თსუ-ს როგორც კვლევითი ინსტიტუტის სიძლიერად? გამოკვეთილ უპირატესობად?
  - რას ფიქრობთ, ამ ეტაპზე, რა არის მისი სუსტი/ განსავითარებელი მხარე?

- რომ შევაჯამოთ ამ თემაზე საუბარი, ყველა იმ პოზიტიური და დასახვეწი ფაქტორის გათვალისწინებით რაზეც ჩვენ ახლა ვისაუბრეთ, თქვენს ახლობელს / მეგობარს ურჩევდით თუ არა ჩაებარებინა თსუ-ში?
  - რა იქნებოდა თქვენი ასეთი რეკომენდაციის განსმაზღვრელი მიზეზი?

ნაწილი 4: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მისი კონკურენტების არსებული იმიჯის შესწავლა

- ახლა მინდა ცოტა უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელზე:

თითოეულ ჯგუფზე მოხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თავისუფალი უნივერსიტეტის და საქართველოს უნივერსიტეტის იმიჯების შესწავლა. ჯგუფებზე მოხდება უმაღლესი სასწავლებლების როტაცია

- **თავისუფალი ასოციაცია:** რა აზრი მოგდით თავში როდესაც ვამბობ ..... ? გთხოვთ, არ შეიზღუდოთ აზრებში: დამისახელეთ ყველა წარმოდგენა, ასოციაცია, აზრი?
- **პერსონიფიკაცია:** *გთხოვთ წარმოიდგინოთ, რომ ..... არის ადამიანი. მოდით დავახასიათოთ ის.*
  - ⇨ საიდანაა ეს ადამიანი წარმოშობით: ქვეყანა, სოციალური ფენა, ასაკი, სქესი და ა.შ.
  - ⇨ რითია ეს ადამიანი დასაქმებული ცხოვრებაში? რა პროფესიისა? რა გამოარჩევს ამ ადამიანს სხვებისგან: რა მახასიათებლები? აღწერეთ ამ ადამიანის საცხოვრებელი – ყველა დეტალი. როგორ ატარებს თავისუფალ დროს – სად დადის, ვისთან ერთად ? რა მანქანით დადის? რას ფიქრობენ მასზე სხვა ადამიანები? თავად ის რას ფიქრობს და როგორ ექცევა სხვა ადამიანებს? როგორია მისი მომავალი?
  - ⇨ როგორი ხასიათისაა? როგორ ხართ განწყობილი ამ ადამიანის მიმართ? ის რომ თქვენი ნაცნობი იყოს რა ურთიერთობებში ისურვებდით ამ ადამიანთან ყოფნას?
  - ⇨ როგორ არის განწყობილი თქვენს მიმართ ეს ადამიანი?
  - ⇨ როგორია მისი მომავალი?
  - ⇨ მოდით, გავაკეთოთ პატარა რეზიუმე ამ ადამიანის პიროვნებასთან დაკავშირებით: რა არის მისი დადებითი/ უარყოფითი თვისებები

- როგორ ფიქრობთ, რა არის ამ უმაღლესი სასწავლებლის ძლიერი მხარეები? უპირატესობები? რატომ ფიქრობთ ასე?
- რა არის ამ უმაღლესი სასწავლებლის კონკურენტული უპირატესობა სხვა უმაღლეს სასწავლბლებთან შედარებით?
- შეგიძლიათ თუ არა გამოყოთ კონკრეტული მიმართულებები / პროფესიები, რომელიც ამ უნივერსიტეტის გამორჩეულ უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს? რა მიმართულებით უშვებს ყველაზე კარგ პროფესიონალებს / კონკურენტულ კადრებს? რა გაძლევთ ასე ფიქრის საშუალებას?

- რა არის მისი ნაკლოვენებები? რატომ ფიქრობთ ასე?
- მოდით ვისუაბროთ ადამიანებზე, რომელბიც ამ სასწავლებელში სწავლობენ: თქვენი აზრით რა კატეგორიის სტუდენტები სწავლობენ ძირითადად .....ში?
- რატომ ჩააბარეს იქ?
  - o ცოდნის გაღრმავების გამო
  - o დიპლომის გამო

- სასწავლებლის პრესტიჟულობის გამო
- გარანტირებული სამსახურის გამო
- სხვა

- მოდით ახლა შევაჯამოთ ამ თემაზე საუბარი: ამ ეტაპზე, რომელი უმაღლესი სასწავლებელი მიგაჩნიათ უმაღლესი განათლების ბაზრის ლიდერად?

  <u>თუ არ დასახელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:</u> რა ცვლილებები უნდა გატარდეს ამ უმაღლეს სასწავლებელში, რომ მან დაიბრუნოს ყველაზე პრესტიჟული და წარმატებული უნივერსიტეტის სტატუსი?

<u>ნაწილი 5: თსუ-ს ბრენდ ატრიბუტიკის აღქმა (ლოგო, საკომუნიკაციო ფერი) და მასთან დაკავშირებული დამოკიდებულებები</u>

- გთხოვთ, მითხართ გახსოვთ თუ არა თსუ-ს ლოგო?
  - (თუ დიახ) გთხოვთ, მითხართ რას ფიქრობთ მასზე? რა არის ის, რაც პირველად გახსენდებათ თსუ-ს ლოგოს წარმოდგენისას (ასოციაციები, ემოციები, დამოკიდებულებები)

<u>[მითითება მოდერატორს: ჯგუფის წევრებს აჩვენებთ თსუ-ს ლოგოს ფერად ვერსიას, სადაც ზუსტად იკვეთება თსუ-ს საკომუნიკაციო ფერიც]</u>

- რას გამოხატავს თსუ-ს ლოგო? რა არის მისი მთავარი გზავნილი? რაზე დაყრდნობით გიჩნდებათ ასეთი მოსაზრებები?
- არის თუ არა თქვენი აზრით არსებული ლოგო მკაფიოდ, ნათლად, თავისუფლად აღქმადი, ცნობადი თსუ-თან უშუალო კავშირის მქონე სეგმენტებისთვის? ზოგადად ქართული საზოგადოებისთვის? რატომ ფიქრობთ ასე?
- გთხოვთ მითხრათ, შეეფერება თუ არა ეს ლოგო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (პირველი უნივერსიტეტი, კულტურული მემკვიდრეობის გადაცემის სიმბოლო)? (რატომ კი? რატომ არა?)
- თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურად გამოსახავს ის თსუ-ს არსს, მთავარ გზავნილს, საზოგადოებისადმი, სტუდენტებისადმი?
- გთხოვთ, მითხრათ რას ფიქრობთ საკომუნიკაციო ფერზე?
- მოგწონთ თუ არა ეს ფერი?
- შეესაბამება თუ არა ეს ფერი უმაღლესი განათლების დაწესებულებას? კერძოდ, თსუ-ს? მის ამჟამინდელ ლოგოს? (რატომ კი? რატომ არა?)
- ხომ არ შეცვლიდით, რა ფერით შეცვლიდით?
- თქვენი აზრით თსუ ლოგო არის ოპტიმალური – საუკეთესო ვარიანტი, გადატვირთული– საჭიროა გამარტივება, საჭიროა მისი დახვეწა?
- თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, რას შეცვლიდით თსუ-ს ლოგოში (ფიგურები, მათი რაოდენობა, კომპოზიცია), ? (რატომ? - კონკრეტული არგუმენტები)

- თქვენი აზრით, რა უნდა იყოს ის მთავარი გზავნილი, რაზე უნდა აკეთებდეს თსუ აქცენტს საზოგადოებასთან კომუნიკაციისას?

- და ბოლო კითხვა ამ თემასთან დაკავშირებით, კიდევ რა ელემენტები უნდა დაემატოს თსუ – თსუ-ს ბრენდ ატრიბუტიკას(მაგალითად სლოგანი, ჰიმნი, დროშა და ა.შ.)

ნაწილი 6: ახალი იდეის ტესტირება - კურსდამთავრებულთა ფონდის შექმნა

- და ჩვენი შეხვედრის ბოლოს მინდა კიდევ ერთ თემასთან დაკავშირებით მოვისმინო თქვენი შეფასებები. რას ფიქრობთ, თსუ-ს კურსდამთავრებულთა საქველმოქმედო ფონდის შემქნის იდეაზე, სადაც თსუ-ს ყველა კურსდამთავრებულს საშუალება ექნება შეიტანოს თავისი წვლილი უნივერსიტეტის განვითარების საქმეში
- რას ფიქრობთ ამ იდეაზე? როგორ შეაფასებდით ახალ იდეას?
- გთხოვთ, მითხრათ ფონდის დაარსების შემთხვევაში, რა პრიორიტეტები უნდა განისაზღროს, რაშიც დაიხარჯება შემოსული ფულადი რესურსი? რატომ არის ეს მიმართულებები ყველაზე მნიშვნელოვანი?
- ასევე, კურსდამთავრებულთა მიერ გაწეული რა ტიპის დახმარება (არაფულადი რესურსი) შეიძლება იყოს ოპტიმალური თსუ-თვის და მისი სტუდენტებისთვის?
- როგორ ფიქრობთ, თქვენ თავად თუ გექნებათ სურვილი, როდესაც იქნებით თსუ-ს კურსდამთავრებული, გახდეთ ამ ფონდის წევრი? რატომ ფიქრობთ ასე?

დიდი მადლობა დისკუსიაში მონაწილეობისთვის!